**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის**

**„საქართველოს თანასწორობის ასოციაციის “**

**წესდება-დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმება**

ზოგადი დებულებები

## მუხლი 1

1.1 „საქართველოს თანასწორობის ასოციაცია“ ( შემდგომში - ასოციაცია) წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო იურიდიულ პირს, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

1.2 ასოციაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

1.3 სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.4 ასოციაცია იქმნება განუსაზღვრელი ვადით, ასოციაცია თავისი მიზნებიდან გამომდინარე საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

1.5 ასოციაციას აქვს თავისი ლოგო, ემბლემა და ბეჭედი.

1.6 დამფუძნებლები:

**ასოციაციის დამფუძნებელი არის:**

**ნინო შაქარაშვილი** (პ/ნ[redacted]; დაბ: [redacted] წ; მცხ:[redacted])

1.7 ასოციაციის ადგილსამყოფელია საქართველო, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ.№1

1.8 ასოციაციის ელექტრონული ფოსტაა: Info@gafegeorgia.org

## მუხლი 2

**2.1 ასოციაციის მიზნებია:**

ა) საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის საჭირო ინიციატივებსა და პროგრამებზე მუშაობა;

ბ) სტუდენტებსა და ახალგაზრდებში გენდერული თანასწორობის პრინციპების დამკვიდრება;

გ) კულტურულ-შემოქმედებითი, სპორტული და საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება თანასწორობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით;

დ) ქვეყანაში არსებული პრობლემატიკის წარმოჩენა, საკითხის გარშემო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და საერთაშორისო გამოცდილების იმპლემენტაცია;

ე) სქესის მიუხედავად, შესაძლებლობების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა როგორც საგანმანათლებლო, ისე სამსახურეობრივ გარემოში;

ვ) თანასწორობის პრინციპების ერთგული ახალგაზრდა ლიდერების გაძლიერება, მათი ინიციატივების მხარდაჭერა;

ზ) სტუდენტების პიროვნული პოტენციალის რეალიზებისა და პრაქტიკული-უნარ ჩვევების გაუმჯობესების პროცესის მხარდაჭერა;

თ) ახალგაზრდების მიმართ არსებული, სტერეოტიპებიდან მომდინარე, სოციალური ზეწოლის შეჩერება, სტერეოტიპების დანგრევა;

ი) უმცირესობათა წარმომადგენლების სოციალური, მორალური თუ ეკონომიკური გაძლიერება.

## მუხლი 3

**საქმიანობის ფორმები**

3.1 ასოციაცია თავისი მიზნების განსახორციელებლად ეწევა შემდეგ საქმიანობას:

3.1.1 ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ისე მათ გაერეთ, კონფერენციების, ტრენინგ კურსების, საჯარო ლექციების, დისკუსიებისა და სხვა სახის ღონისძიებების ორგანიზება;

3.1.2 გაცხადებული მიზნების მისაღწევად კონკრეტული მიზნობრივი ჯგუფების შემადგენლობით, კლუბების, საინიციატივო და სამუშაო ჯგუფების დაფუძნება;
3.1.3 ქვეყანაში ჩასარტარებელი სხვადასხვა ტიპის არჩევნებისას (უნივერსიტეტებში, საპარლამენტო, ადგილობრივი თვითმმართველობის, საპრეზიდენტო და ა.შ) სადამკვირვებლო საქმიანობა;
3.1.4 დაინტერესებულ პირთათვის, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისთვის პროექტებისა და პროგრამების მართვის მომსახურების შეთავაზება.
3.1.5 ადამიანის უფლებების პოპულარიზაციისა და მათ მიმართ პატივისცემის დამკვიდრების მიზნით ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას;
3.1.6 „საქართველოს თანასწორობის ასოციაცია“ უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს ასოციაციის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ასოციაციის დამფუძნებლებს, შემომწირველებს, აგრეთვე, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.
3.1.7 ასოციაციის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება დაუშვებელია.
გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გასხვისება ემსახურება ასოციაციის საქმიანობას, მის განვითარებას და ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო საქმიანობას.
3.1.8 ასოციაცია შეიძლება ეწეოდეს სხვა საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

## მუხლი 4

**ასოციაციის ამოცანებია:**

4.1 ქვეყანაში არსებული გენდერული მდგომარეობის სისტემატური შეფასება და ანალიზი;
4.1.1 საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან თანამშრომლობა;
4.1.2 საზოგადოების გენდერული საკითხებით დაიტერესება, მათი ცნობიერების დონის ამაღლება და ფართო აუდიტორიის შექმნა;
4.1.3 სოციალური კამპანიების დაგეგმვა/წარმოება;
4.1.4 გენდერული პრობლემატიკის შესაბამისი ტრენინგ კურსების შედგენა და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება;
4.1.5 ახალგაზრდების ხელშეწყობა და თანასწორობის პრინციპების ერთგულ ლიდერებად ჩამოყალიბება, მათი ან მათ ინტერესებზე მორგებული ინიციატივების შემუშავება/მხარდაჭერა;
4.1.6 აქტიური თანამშრომლობა უმაღლესი განათლების დაწესებულებებთან, უნივერსიტეტებში სტუდენტების ინტერესებზე მორგებული ღონისძიებების განხორციელება;
4.1.7 საუნივერსიტეტო თანასწორობის კლუბების ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
4.1.8 სკოლამდელი და სასკოლო განათლების სივრცეებში გენდერული თანასწორობის იდეის პოპულარიზება;
4.1.9 გენდერული ბალანსის შესაქმნელად უმცირესობების ჯგუფებზე მორგებული მექანიზმების შემუშავება და პროექტების განხორციელება;

## მუხლი 5

**ასოციაციის წევრი**

5.1 ასოციაციის წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე, პირი, რომელიც იზიარებს ასოციაციის მიზნებს, მისიასა და ხედვებს და მზადაა ამ წესდებით დასახული ამოცანების განსახორციელებლად.
5.1.1 ასოციაციის წევრად მიღება ხორციელდება ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით.
5.1.2 პირი გამგეობის გადაწყვეტილებით შეიძლება მიღებულ იქნეს ასოციაციის დეპარტამენტსა ან სხვა სტრუქტურულ ერთეულში მისი კვალიფიკაციის შესაბამის პოზიციაზე.

## მუხლი 6

**წევრობის შეწყვეტა**

6.1 ასოციაციის წევრს უფლებამოსილება უწყდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;

ბ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი ქმედუუნაროდ ცნობისას;

გ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღირებისას;

დ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი გარდაცვლილად გამოცხადებისას;

ე) გარდაცვალებისას;

ვ) საერთო კრების გადაწყვეტილებით წევრი შეიძლება გაირიცხოს ასოციაციიდან, თუკი ის სისტემატურად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობებს და თავისი ქმედებით ეწინააღმდეგება ასოციაციის საქმიანობას, მიზნებსა და ამოცანებს.

6.2 წევრობის შეწყვეტის საფუძველია:

ა) წევრის ქმედებების წინააღმდეგობრიობა ასოციაციის საქმიანობასთან, მიზნებსა და ხედვასთან;

გ) სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებული გარემოებანი.

## მუხლი 7

**მრჩეველთა საბჭო**

7.1 ასოციაციის საკონსულტაციო ორგანო, რომლის წევრებიც კომპლექტდება გამგეობის მიერ.

ა) საბჭოს წევრის დასახელების უფლება აქვს გამგეობის წევრს, აგრეთვე ასოციაციის ნებისმიერ წევრს, გამგეობისათვის წერილობითი მიმართვის ფორმით.

ბ) მრჩეველთა საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს ასოციაციის წევრი ან/და მასთან შრომით ურთიერთობაში მყოფი პირი. პირის საბჭოს წევრად არჩევამდე აუცილებელია მისი წერილობითი თანხმობა.

გ) საბჭოს მიზანია ასოციაციის განვითარების თუ პროგრამულ საქმიანობებთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე რეკომენდაციების, მოსაზრებების გაზიარება და საკითხების გადაწყვეტის სხვადასხვა ალტერნატივის განხილვა.

დ) მრჩეველთა საბჭოს შეკრება ხდება გამგეობის და/ან თავჯდომარის და/ან მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოწვევით სულ მცირე ორ წელიწადში ერთხელ. საბჭოს საქმიანობის წესი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს ასოციაციის თავმჯდომარე.

## მუხლი 8

**ასოციაციის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს ასოციაციის წევრთა საერთო კრება**

8.1 საერთო კრება მოიწვევა გამგეობის, ასევე თავმჯდომარის მიერ და ტარდება წელიწადში მინიმუმ ერთხელ მაინც.

8.2 რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა ასოციაციის გამგეობის მიერ:

ა) საკუთარი ინიციატივით;

ბ) თავმჯდომარის ან ასოციაციის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით, ასეთი მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს ორი თვისა;

გ) საერთო კრების დღის წესრიგს ადგენს და იღებს, ასევე ცვლილებების შეტანის საკითხს წყვეტს გამგეობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დღის წესრიგში ცვლილებ(ებ)ის ან/და დამატებით განსახილველი საკითხ(ებ)ი წარდგენილ იქნა ასოციაციის წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით.

დ) საერთო კრება უფლებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა 1/2. თუ კრება არ იქნება უფლებაუნარიანი ე.ი. არ დაესწრება წევრთა 1/2, კრება განმეორებით მოიწვევა ერთი თვის ვადაში. ამ შემთხვევაში, კრება უფლებაუნარიანია თუ კი კრებას ესწრება წევრთა ¼ მაინც. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით, თუ წესდებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმის უფლების სხვა პირისთვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხმის უფლების მქონე პირს წარმოადგენს სათანადო მინდობილობით წარმოდგენილი პირი - ოფიციალური წარმომადგენელი.

**საერთო კრების განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება:**

**-** ასოციაციის საქმიანობის ძირითადი და სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა.

-საერთო კრებაზე დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით ასოციაციის გამგეობის დამტკიცება, მისი ანგარიშის მოსმენა და დამტკიცება;

- გადაწყვეტილების მიღება ასოციაციის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ.

## მუხლი 9

**ასოციაციის გამგეობა**

9.1.1 გამგეობა წარმოადგენს ასოციაციის აღმასრულებელ მუდმივმოქმედ ორგანოს, რომლის შემადგენლობაში შედის საერთო კრებაზე დამსწრეთა ხმათა უბრალო უმრავლესობით ორი კალენდარული წლის ვადით არჩეული მინიმუმ 3 მაქსიმუმ 9 წევრი.

9.1.2 გამგეობის რიგითი სხდომების მოწვევა ხდება თვეში მინიმუმ ერთხელ.

9.1.3 გამგეობის რიგგარეშე სხდომების მოწვევა ხორციელდება ასოციაციის თავჯდომარის ან გამგეობის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით.

9.1.3 გამგეობა უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

9.1.4 გამგეობის წევრს სხდომაში მონაწილეობა შესაძლებელია დისტანციურად, ტელეფონით, ვიდეო საშუალების ან სხვა ტექნიკური საშუალებით, იმ შემთხვევაში თუ შესაძლებელია გამგეობის წევრის იდენტიფიცირება. ამ სახით გამგეობის წევრი ვერ მიიღებს სხდომის იმ საკითხების განხილვაში მონაწილეობას, რომლისთვისაც გადაწყვეტილების მიიღება ფარული კენჭისყრით.

9.1.5 სარეკომენდაციო წერილით მიმართავს ასოციაციის იმ წევრ(ებ)ს, რომლის საქმიანობაც ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს ან რომელიც უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;

9.1.6 თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს ასოციაციის პროგრამულ მიმართულებებს, ორგანიზაციულ სტრუქტურას და განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებებს;

9.1.7 გამგეობა უფლება აქვს თავმჯდომარეს/მოადგილეს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყვიტოს მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების, არასათანადოდ სარგებლობის ან ასოციაციის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის. ასეთ შემთხვევაში გამგეობა ერთი თვის ვადაში ირჩევს ახალ თავმჯდომარეს/მოადგილეს გამგეობის მოქმედების დარჩენილი ვადით.

9.1.8 გამგეობის წევრებს, გამგეობის სხდომის ჩატარების თარიღის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ ეცნობებათ სხდომამდე სულ მცირე 7 დღით ადრე მაინც.

**გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება:**

- საერთო კრების გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფა;
- გადაწყვეტილების მიღება ყველა მიმდინარე საკითხზე, რომელიც კრებებს შორის წარმოიშობა, მოითხოვს ოპერატიულ გადაწყვეტას და რომელიც საერთო კრების სპეციალურ კომპეტენციას არ განეკუთვნება;
- წესდებაში ცვლილების ან/და დამატებების პროექტის შემუშავება;
- წესდებაში ცვლილების ან/და დამატებების შეტანა/დამტკიცება.
- **გამგეობის წევრები:**
- **ელენე იაგორაშვილი:** პ/ნ [redacted]; დაბ: [redacted]; მცხ: [redacted]
- **ნინო შაქარაშვილი:** პ/ნ [redacted] დაბ: [redacted]; მცხ: [redacted]
- **მალხაზი კუტალია:** პ/ნ [redacted] დაბ: [redacted]; მცხ: ; [redacted]

## მუხლი 10

**ასოციაციის თავჯდომარე:**

ასოციაციის მთელ საქმიანობას წარმართავს თავმჯდომარე, რომელიც ამავდროულად არის გამგეობის თავმჯდომარეც. ასოციაციის თავჯდომარის არჩევა ხდება გამგეობის მიერ, წევრთა უბრალო

უმრავლესობით 2 წლის ვადით. თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში - მისი მოადგილე, რომელსაც ორი წლის ვადით ნიშნავს თავმჯდომარე, თავისი უფლებამოსილების ვადით.

- ერთპიროვნულად წარმოადგენს ასოციაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში, ნებისმიერ დონეზე;
- ასოციაციის სახელით დებს ხელშეკრულებებს, კონტრაქტებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს, გასცემს მინდობილობებს;
- გამგეობასთან შეთანხმებით განკარგავს ასოციაციის ქონებას და სახსრებს; ერთპიროვნული გადაწყვეტილებით ხსნის და ხურავს ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში, ხელს აწერს საფინანსო და სხვა სახის დოკუმენტაციას.
- წარმართავს ასოციაციის საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად;
- ნიშნავს და ათავისუფლებს წევრებს ასოციაციის სტრუქტურული ერთეულებში დაკავებული პოზიციებიდან;
- ხელმძღვანელობს გამგეობის საქმიანობას და უძღვება მის სხდომებს;
- უძღვება საერთო კრების სხდომებს;

**ასოციაციის/გამგეობის თავმჯდომარე:**

**ნინო შაქარაშვილი - პ/ნ** [redacted] დაბ: [redacted] წ; მცხ: [redacted]

**მუხლი 11**

**ქონება და სახსრები**

11.1.1 ასოციაციის ქონება იქმნება საწევრო შენატანების, გრანტების, წევრთა და სხვა პირთა შემოწირულობების, დამხმარე სამეწარმეო საქმიანობითა და სხვა კანონიერი გზით მიღებული შემოსავლებისგან.

11.1.2 ასოციაციის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მისი საწესდებო მიზნების განხორციელებას.

**მუხლი 12**

**ასოციაციის საქმიანობის შეჩერება და ლიკვიდაცია:**

12.1.1 ასოციაციის საქმიანობის შეჩერება ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) ასოციაციის საერთო კრების გადაწყვეტილებით დამფუძნებელთან შეთანხმებით;

ბ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

გ) ასოციაციის ლიკვიდაციის პროცესს წარმართავს თავმჯდომარე, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

დ) ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა იმავე ან მსგავსი მიზნების სხვა არასამეწარმეო იურიდიულ პირს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ასოციაციის**
**დამფუძნებელი და თავმჯდომარე:** **ნინო შაქარაშვილი**
**პ/ნ** [redacted]